საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
2010 წლის 17 სექტემბრის #428/9 გადაწყვეტილების საფუძველზე
წარმოგიდგენთ შპს **"საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის"**
საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და
ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) მომსახურების

შეთავაზების წინადადებას
(მოწვევა ოფერტაზე)

შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) მომსახურების მიწოდება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1. შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) მომსახურების მიწოდება დაეკისრა შემდეგ გეოგრაფიულ ზონებში:
   რუსთავის ადგილობრივი მომსახურების ზონა
2. შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას" საკუთარ ქსელში საერთაშორისო ზარის ტერმინაცია დაეკისრა კომისიის გადაწყვეტილებით, რომლის შესაბამისად, კორპორაცია ადგენს ტერმინაციის პირობებს წინამდებარე მოწვევის ოფერტით და განსაზღვრავს, რომ

   ყველა შეერთება ოპერატორებს შორის იქნება სახეობითი, შესაბამისად აქეპტანტი ვალდებულია წერილობითი სახით მიაწოდოს ოფერენტს ინფორმაცია, თუ რომელი არხიდან განახორციელებს ლოკალური ზარების გატარებას და რომლიდან - საერთაშორისო ზარების (ყოველი ცალკეული არხების მაინდენტიფიცირებელი მონაცემების მითითებით). აქცეპტანტის მიერ ოფერენტისათვის მიწოდებული მონაცემების შესაბამისად (ანუ არხების საფუძველზე) განისაზღვრება ზარების ტარიფიცირების და დაბეგვრის ოდენობა. ამ პირობის გათვალისწინებით, აქეპტანტი სრულად და ერთპიროვნულად აგებს პასუხს არხებში გამავალი ტრაფიკის იმ მოცულობის და ტარიფით დაბეგვრის სისწორეზე, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ოფერტით. ამასთან, თუ ლოკალური ზარის გატარების არხში, მოხვდა საერთაშორისო ზარი იგი დაიბეგრება, როგორც საერთაშორისო ზარი.

   ოფერენტი იტოვებს უფლებას სხვა ავტორიზებული პირისგან შემომავალი ნებისმიერი სატელეფონო ზარი მიიჩნიოს საეჭვოდ და აღნიშნული ეჭვის თაობაზე მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ურთიერთჩართვის შეჩერების მოთხოვნით, ამასთან, ამ ოფერტის 7.2.9. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხით, დაიკმაყოფილოს ურთიერთჩართვის ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზარალი.
3. ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების სატელეფონო სადგურების ინდექსები, მისამართები და ურთიერთჩართვისთვის გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობა:

"საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას"

ასს-ის ინდექსი	მომსახურების მიწოდების მისამართი	ინტერფეისი
25, 27, 28	ქ.რუსთავი, მეგობრობის გამზ. #9	SS7, G 703

4. ფიქსირებული საკომუტაციო ქსელებით საქმიანობის საბითუმო მომსახურების ბაზარზე, ფიქსირებულ და მოძრავ საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და სატელეფონი ადგილობრივი მომსახურების ზონაში **ზარის წამოწყება/დასრულების ტარიფი 2 თეთრი/წთ დღგ-ს ჩათვლით, ხოლო ტრანზიტული ურთიერთჩართვა ხორციელდება დამატებითი შეთანხმებით.**

5. საქართველოში შემომავალი საერთაშორისო ზარის ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულების) მომსახურების ტარიფი მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე და ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე შეადგენს:

ა) პირველი საფეხური, 10.000 (ათი ათასი) წუთამდე, პირდაპირი ურთიერთჩართვის შემთხვევაში, 0,12 აშშ დოლარის ექვივალენტს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში გადასახადების ჩათვლით - 1 წუთზე;
ბ) არაპირდაპ ირი ურთიერთჩართვის შემთხვევაში და მეორე საფეხურზე (10 000 ათი ათასი) წუთს ზევით) 0,15აშშ დოლარის ექვივალენტს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში გადასახადების ჩათვლით - 1 წუთი;

6. საქართველოში შემომავალი საერთაშორისო ზარის არაპირდიაპირი, ტრანზიტული გატარებისთვის მომსახურების ტარიფი, შეადგენს ერთი წუთი - 0.01 აშშ დოლარის ექვივალენტს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით. ოფერენტი იღებს მხოლოდ, ტრანზიტული მომსახურების გაწევის საფასურს, სხვა ფინანსური და იურიდიული საკითხები აქცეპტანტსა და მესამე პირს შორის რეგულირდება ოფორენტისაგან დამოუკიდებლად, ხოლო მათ შორის დავის შემთხვევაში (დავა, რომელიც ეხება გატარებული ტრაფიკის მოცულობას) ოფერენტის მონაცემები გატარებული ტრაფიკის მოცულობის შესახებ მიიჩნევა უპირობოდ სწორად.

- ოფერენტთან არაპირდაპირი, ტრანზიტული ურთიერთჩართვის შემთხვევაში, მომსახურების სახიდან გამომდინარე აქცეპტანტი ფარავს ზარის წამოწყების ან/და ტრაზიტული მომსახურების საფასურს ან ზარის დასრულების ან/და ტრანზიტული მომსახურების საფასურს;

7. ქსელში ურთიერთჩართვის მსურველმა ოპერატორმა უნდა წარმოადგინოს განაცხადი, რომელიც უნდა შეიცავდეს:

7.1 წერილობითი განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ მინიმალურ ინფორმაციას:
7.1.1 საფირმო სახელწოდება;
7.1.2 იურიდიული და ფაქტიური მისამართები;
7.1.3 ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი და ფაქსის ნომრები;
7.1.4 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, მისამართი და საკოტაქტო ნომერი;
7.1.5 საქმიანობის სახეები რაზეც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში (შემდგომში - კომისია) გავლილი აქვს ავტორიზაცია;
7.1.6 არსებული ლიცენზიები/ნებართვები და ნუმერაციის რესურსები;
7.1.7 ქსელის აღწერა;
7.1.8 სიგნალიზაციის ტიპი;

7.1.9 გამოყენებული ინტერფეისი;

7.1.10 საერთაშორისო და ადგილობრივი ტრაფიკის სავარაუდო მოცულობები;

7.1.11 განსაზღვროს ცალ-ცალკე გამოყოფილი არხები საერთაშორისო და ადგილობრივი ტრაფიკის დასრულებისთვის.

7.1.12 მომსახურების სახეები, რომლის მიღებაც სურს;

7.1.13 საკონტაქტო პირების სახელი გვარი და ტელეფონის ნომრები.

7.2 წერილობით განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

7.2.1 ავტორიზაციის მოწმობის ასლი;

7.2.3 ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

7.2.3 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;

7.2.4 ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

7.2.5 რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის სალიცენზიო მოწმობის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

7.2.6შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" განცხადების რეგისტრაციიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მოახდენს პარამეტრების ტესტირებას;

7.2.7 ხელშეკრულების შესრულების გარანტია, რომელიც გულისხმობს გამოუხმობად საბანკო გარანტიას ან ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხას. საბანკო გარანტიად მოიაზრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი ბანკის მიერ წარმოდგენილი ფულადი წერილობითი გარანტია, რომლის ძალითაც, გარანტიის მიმცემი თვითონ კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ფულადი თანხა ბენეფიციარს (შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას"), ამ უკანასკნელის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში. საბანკო გარანტია ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს. საბანკო გარანტია მოწონებულ და დადასტურებულ უნდა იქნას საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციისგან. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა – გულისხმობს, მსურველი პირის მიერ კორპორაციის ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას, რომელიც მოიაზრება ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების გარანტიად და იმ შემთხვევაში, თუ კონტრაჰენტი არ დაფარავს ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებას, კორპორაციას ეძლევა უფლება კონტრაჰენტის მხრიდან ყოველგვარი წინასწარი თანხმობის გარეშე, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა საგარანტიო თანხიდან. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს.

7.2.8 მსურველი პირი ვალდებულია განაცხადში მიუთითოს ერთი თვის განმავლობაში სავარაუდო ტრაფიკის მოცულობა. საბანკო გარანტიის და ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა უნდა შეესაბამებოდეს კონტრაჰენტის მიერ კორპორაციისთვის 2(ორი) თვის განმავლობაში გადასახდელი თანხის ოდენობას.

7.2.9 საერთაშორისო ზარების დასრულების შემთხვევაში მსრუველი/ურთიერჩართული ავტორიზებული პირი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენა, რომელიც მოიცავს განაცხადში დაფიქსირებული ტრაფიკის მოცულობისთვის კორპორაციისთვის გადასახდელ თანხის 2 (ორი) თვის ოდენობას და 4 000 (ოთხი ათასი) ლარს, თითოეულ გამოყოფილ არხზე (საერთაშორისო ზარების დასრულებისათვის).

7.2.10 იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი წერილობითი განაცხადი არ აკმაყოფილებს 7.1. და 7.2 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან/და კორპორაციის აფილირებულ პირს აქვს დასაბუთებული ეჭვი ურთიერჩართვის მსურველი პირის სატელეფონო ზარის კანონიერებასთან დაკავშირებით, მსურველ პირს 4 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება ამის შესახებ და ამ შემთხვევაში, 7.6 და 7.7 პუნქტებში აღნიშნული ვადის ათვლა არ დაიწყება. ვადის ათვლა დაიწყება მხოლოდ დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდგომ ან/და ვიდრე არ დადგინდება და არ გამოირიცხება ყოველგვარი ეჭვი მსურველი პირის შემომავალი ზარის კანონიერების თაობაზე. შესაძლოა მხარეთა შორის ხელშეკრულება გაფორმდეს 7.2.6 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენამდე, მაგრამ ამ შემთხვევაში, ხელშეკრულება ძალაში შევა მხოლოდ აღნიშნული გარანტიის კორპორაციისთვის წარდგენის დღიდან.

7.3 7.1.10 - 7.1.11; 7.2.7 - 7.2.9; პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენა აუცილებელია იმ ავტორიზებული პირებისათვის, რომელთაც კორპორაციასთან არ ჰქონიათ სამართლებრივი ურთიერთობა წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებულ მომსახურების მიღებაზე ან წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებულ მომსახურებაზე ადრინდელი სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე მსურველი პირი არ ან არაჯეროვნად ასრულდებდა კო წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს და ურთიერთჩართული პირებისთვის, რომლებიც სარგებლობენ საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურებით. იმ შემთხვევაში, თუ კორპორაციასთან ურთიერთჩართული ოპერატორი, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დაარღვევს ანგარიშსწორების ვალდებულებას, კორპორაცია იტოვებს უფლებას, მოსთხოვოს ამ ოპერატორს 7.2.7-7.2.9 პუნქტებით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენა და ეს უკანასკნელი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს მოთხოვნილი გარანტია.

7.4 იმ შემთხვევაში, თუ მსურველი პირის მხარეს არსებობს შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულება კორპორაციის წინაშე, იგი ვალდებულია დაფაროს არსებული დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი წერილობითი განაცხადი არ ჩაითვლება მიღებულად და შესაბამისად კორპორაციის მხრიდან არ წარმოშობს არანაირ ვალდებულებას გააფორმოს მასთან ხელშეკრულება წინამდებარე ოფერტის შესაბამისად.

7.5 იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი წერილობითი განაცხადი არ აკმაყოფილებს 7.1. და 7.2 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან/და კორპორაციის აფილირებულ პირს აქვს დასაბუთებული ეჭვი ურთიერთჩართვის მსურველი პირის სატელეფონო ზარის კანონიერებასთან დაკავშირებით,, მსურველ პირს 4 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება ამის შესახებ და ამ შემთხვევაში 7.6 და 7.7 პუნქტებში აღნიშნული ვადის ათვლა არ დაიწყება. ვადის ათვლა დაიწყება მხოლოდ დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდგომ ან/და ვიდრე არ დადგინდება და არ გამოირიცხება ყოველგვარი ეჭვი მსურველი პირის შემომავალი ზარის კანონიერების თაობაზე. შესაძლებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება გაფორმდეს 7.2.6 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენამდე, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ძალაში შევა მხოლოდ აღნიშნული გარანტიის კორპორაციისათვის წარდგენის დღიდან.

7.6 იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი შედგენილია 7.1. და 7.2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, მაგრამ მოთხოვნილია წინამდებარე ოფერტისგან განსხვავებული ურთიერთჩართვის განხორციელების პირობები, კორპორაცია 5 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის განაცხადში მითითებული სქემით ურთიერთჩართვის განხორციელების მიზანშეწონილობას და აცნობებს მსურველ პირს.

7.7 წინამდებარე 7.6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ურთიერთჩართვის განხორციელება განაცხადში მოთხოვნილი სქემის მიხედვით, მიიჩნევა რომ განაცხადი არ აკმაყოფილებს წინამდებარე მოწვევის ოფერტის პირობებს და 7.8 და 7.9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის ათვლა არ დაიწყება. კორპორაცია შესაძლებლობების ფარგლებში შესთავაზებს მსურველ პირს ალტერნატიულ ვარიანტს, რაზეც მხარეები შეთანხმდებიან დამატებით. ურთიერთჩართვის განხორციელების სქემის შეთანხმების შემდგომ, მსურველი პირი ვალდებულია ხელახლა მიმართოს კორპორაციას განაცხადით.

7.8 7.1 და 7.2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შედგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის ჩაბარებიდან 5(ხუთი) დღის განმავლობაში მსურველ პირს გადაეცემა ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პროექტი ან ელექტრონული სახით გაეგზავნება მის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. მსურველი პირი ვალდებულია 5(ხუთი) დღის ვადაში ელექტრონული სახით გაუგზავნოს კორპორაციას შესაძლო შენიშვნები ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით. კორპორაცია შემდგომი 5(ხუთი) დღის განმავლობაში, უგზავნის ხელშეკრულების ორმხრივად შეთანხმებული ვერსიის ხელმოწერილ ეგზემპლარს, მსურველ პირს. მსურველი პირი ვალდებულია 5(ხუთი) დღის ვადაში ხელშეკრულების მისი მხრიდან ხელმოწერილი ეგზემპლარი

გადასცეს კორპორაციას, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ წინამდებარე ოფერტაზე აქცეპტი არ განხორციელებულა და კორპორაციასა და მსურველ პირს შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს.

7.9 მხარეები ვალდებულნი არიან ზედმიწევნით დაიცვან 7.8 პუნქტით გათვალისწინებული ვადები და განაცხადის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში გააფორმონ შესაბამისი ხელშეკრულება.

7.10 იმ შემთხვევაში, თუ მსურველი პირის მიერ განსაზღვრული სავარაუდო ტრაფიკი ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში გაიზრდება (ან გადააჭარბებს განაცხადში დაფიქსირებულ ტრაფიკის ოდენობას), იგი ვალდებულია პროპორციულად გაზარდოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია (საბანკო გარანტია ან ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა).

7.11 ყველა ურთიერთჩართული ავტორიზებული პირი, რომელიც უკვე სარგებლობს საერთაშორისო და ადგილობრივი ზარის კორპორაციის ქსელში დასრულების/ტერმინაციის მომსახურებით, ვალდებულია მიმართოს კორპორაციას წერილობითი განაცხადით, სადაც მითითებული იქნება 7.1.10-7.1.11 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია და არაუგვიანეს 2016 წლის 1 აგვისტოსი უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარდგენა წინამდებარე ოფერტის 7.2.7-7.2.9 პუნქტების შესაბამისად.

7.12 ყველა ურთიერთჩართული ავტორიზებული პირი, რომელიც წინამდებარე ოფერტის გამოქვეყნების დღისათვის უკვე სარგებლობს საერთაშორისო და ადგილობრივი ზარის კორპორაციის ქსელში დასრულების/ტერმინაციის მომსახურებით, ვალდებულია 2016 წლის 1 აგვისტომდე გააფორმოს ახალი ურთიერთჩართვის ხელშეკრულება წინამდებარე ოფერტის პირობების გათვალისწინებით. ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის და 7.11 პუნქტით გათვალისწინებული პირების მხრიდან ხელშეკრულების შესრულების გარანტიის არ წარმოდგენის შემთხვევაში, ჩაითვლება უარად წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებული მომსახურების მიღებაზე და წერილობითი გაფრთხილების შემთხვევაში, კორპორაცია აღარ გაუწევს წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებულ მომსახურებას.

ქსელში ურთიერთჩართვის მსურველმა ოპერატორმა უნდა წარმოადგინოს **განაცხადი**, რომელიც უნდა შეიცავდეს: ა) მსურველი ოპერატორის ურთიერთჩართვის ტექნიკურ პროექტს, ურთიერთჩართვის სისტემის და ქსელის გეგმით; ბ) ტრაფიკის მარშრუტს; გ) ტრაფიკის წინასწარ შეფასებას; დ) გამოყენებულ ინტერფეისებს;

5. თანალოკაციის ფართთან დაშვების მისამართები:

ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი #9

6. ადგილობრივი დაშვების თანალოკაციის ფართი

ასს-ის ინდექსი	მისამართი	თავისუფალი ფართი (კვ/მ)
25, 27, 28	რუსთავი, მეგობრობის გამზ. #9	2.5

შენიშვნა: თანალოკაციის ფართები უზრუნველყოფილია ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციისთვის საჭირო, სათანადო კონდიცირებით და ტენიანობით. (აღნიშნული უძრავი ქონება წარმოადგენს "სილქნეტის" საკუთრებას და გადმოცემული გვაქვს საიჯარო ხელშეკრულებით).

7. თანალოკაციის ფართის დაშვებაზე მსურველი ოპერატორი პირისგან აქცეპტის თაობაზე განცხადების განხილვის პირობები და პროცედურები

თანალოკაციის ფართის დაშვებაზე მსურველი ოპერატორი განცხადებით მიმართავს შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას". განცხადებას თან უნდა

დაერთოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემნული ავტორიზაციის მოწმობის ასლი, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი და ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია.

განცხადებაში უნდა მიეთითოს:

- თანალოკაციის ფართზე დაშვებაზე მსურველი ოპერატორის საფირმო სახელწოდება, იურიდიული და ფაქტიური მისამართები, ტელეფონი,ელ. ფოსტა, ფაქსი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი;
- განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს თანალოკაციის ფართის გამოყოფის აუცილებლობა;
- თანალოკაციის ფართზე გასათავსებელი ტექნიკური საშუალებების აღწერილობა, ექსპლოატაციის სათანადო პირობები (ელექტროენერგიის ხარჯი,მიკროკლიმატი და სხვა);
- თანალოკაციის ფართზე განსათავსებელი ტექნიკური საშუალებების ზომები;
- განცხადებაში უნდა იყოს მსურველი ოპერატორის დასტური, რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" მიერ გამოქვეყნებული შესაბამისი მომსახურების შეთავაზების წინადადებაში (მოწვევისოფერტაში) დაფიქსირებულ ყველა პირობას.

8. თანალოკაციის ფართთან დაშვების ტარიფები:

"საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" თანალოკაციის ფართთან დაშვებისა და მომსახურების ტარიფები განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული კომისიის 2009 წლის 31 ივლისის #359/9 გადაწყვეტილების #1 დასკვნის შესაბამისად:

ქ. რუსთავში:

1. დაშვება თანალოკაციის ფართზე 1 კვ. მ. – 15.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)
2. ტექნიკური პერსონალის დაშვების საათობრივი განაკვეთი (მ.შ საჭიროების შემთხვევაში, წყლით, კონდიცირებით მომსახურება):

   დღის სამუშაო საათებში - 7.37 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)
   დღის არასამუშაო საათებში - 8.12 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)
   ღამის საათებში - 10.32 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)

შენიშვნა: მსურველი ოპერატორი ვალდებულია დააყენოს ელექტროენერგიის მრიცხველი და ქვეაბონენტადგაფორმდეს შპს "ენერგო-პრო ჯორჯიას" ქვემო ქართლი სრუსთავის მომსახურების ცენტრში.

9. **ანგარიშსწორების პირობები**

შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციასა" და ავტორიზებულ პირს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება:

ყოველთვიურად, საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის შესაბამისად.

ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე გადაუხდის მეორე მხარეს პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე არგადახდილი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეების მიერ წარმოდგენილ მინაცემებს შორის დაფიქსირდება სხვაობა და ეს სხვაობა არ არის 1.5%-ზე მეტი, მხარეების მიერ მისაღები თანხები აღიარებულ იქნება ბილინგის ურთიერთმონაცემებზე დაყრდნობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა სხვაობა 1.5%-ზე მეტია, ანგარიშსწორება მხარეებს შორის იწარმოებს ორმხრივად შეთანხმებულ არასადაო ნაწილზე. სადაო ნაწილზე მხარეები აწვდიან ერთმანეთს სასადგურო ჩანაწერებს. სხვაობის მიზეზის დადგენის შემთხვევაში, მხარეები 5 სამუშაო დღის განმავლობაში ახორციელებენ გადაანგარიშებას შეთანხმების ოქმის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეები მიმართავენ საქართველოს

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ოფერენტს აქვს უფლება დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო, გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. თანალოკაციის ფართის გამოყოფის პროცედურები და პირობები:

განმცხადებლის მიმართვიდან 10 კალენდარულ დღეში შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" შეისწავლის:

- წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაწერილობით განცხადებას;
- ერიცხება თუ არა ავტორიზებულ პირს განცხადების შემოტანის მომენტისთვის შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" მიმართ დავალიანება; დავალიანების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

განცხადებისმიღებიდან 10 კალენდარულ დღეში, შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" წერილობით აცნობებს განმცხადებელ ოპერატორს, აკმაყოფილებს თუ არა იგი დაშვების პირობებს. დადებითიპასუხის შემთხვევაში, აქცეპტი მიღებულად ითვლება განცხადების მიღების თარიღიდან, ხოლო უარყოფითიპასუხის შემთხვევაში, მითითებულ იქნება დადგენილი ხარვეზი, რომლის აღმოფხვრის შემთხვევაშიც, აქცეპტი მიღებულად ჩაითვლება.

11. მსურველი აქცეპტანტის მიერ წარმოდგენილი განაცხადის და გათვალისწინებული პროცედურის გავლის შემდეგ, მხარეებს შორის, მსურველი აქცეპტანტი პირის მიერ აქცეპტის წარდგენიდან **20 კალენდარული დღის ვადაში ფორმდება ურთიერთჩართვის ხელშეკრულება და შესაბამისად ქსელში ჩართვა**.

მსურველი ოპერატორის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" გასცემს წერილობით ნებართვას შესაბამის დანალოკაციის ფართზე აპარატურული კარადის განთავსების შესახებ, რომელიც გადაეცემა ავტორიზებულ პირს და "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს. ნებართვის წერილში მითითებული უნდა იყოს ოპრატორის სახელწოდება, განსათავსებელი აპარატურული კარადის ზომა, მონტაჟის განმახორციელებელი პირების ვინაობა, ნებართვის მოქმედების ვადა (მინიმუმ 10 სამუშაო დღე), თანალოკაციის ფართის ზუსტი ადგილმდებარეობა.
ავტორიზებული პირი ვალდებულია ნებართვის გაცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს აპარატურული კარადის განთავსება თანალოკაციის ფართზე.
განთავსების პროცესს უნდა დაესწროს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" წარმომადგენელი. აპარატურის განთავსების სამუშაოს დასრულების შემდგომ, მხარეები გააფორმებენ მიღება-ჩაბარების ოქმს, სადაც მითითებული იქნება:

- მონტაჟის განხორციელების თარიღი;
- აქტის ხელმომწერიპირების თანამდებობა;
- აპარატურულიკარადის ზუსტიზომა (სამივე განზომილებისმიხედვით);
- განთავსებული აპარატურული კარადის ზუსტი ადგილმდებარეობა;
- აპარატურული კარადის საიდენტიფიკაციო ნიშანი;

12. თანალოკაციის ფართთან დაშვების წესები:

ავტორიზებული პირების წარმომადგენელთა დაშვება მოხდება მხოლოდ იმშენობაში, სადაც განთავსებულია მათი აპარატურული კარადა, სპეციალური საშვების საშუალებით, რომლის გაცემასაც ახორციელებს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი სათაო ოფისთან შეთანხმების საფუძველზე;

შენობაში დაშვება ხორციელდება დღე-ღამის საათებში.
აპარატურის გადატანა შენობაში, დემონტაჟი და შენობიდან გატანა ხორციელდება ოპერატორის წერილობითი მიმართვის და სათაო ოფისის ნებართვის საფუძველზე.
აპარატურის გადატანა შენობაში, დემონტაჟი და შენობიდან გატანა ფორმდება მიღება-ჩაბარების ოქმით, რომელშიც ასახული იქნება სამუშაოს ჩატარების თარიღი, სამუშაოების ტიპი, ოქმის ხელმომწერი პირების თანამდებობა და ვინაობა.
თანალოკაციის ფართზე განთავსებულ აპარატურასთან დაშვება (დაზიანების აღმოფხვრა ან პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება) მხარეებს შორის ფორმდება სპეციალური ოქმით, სადაც მითითებული იქნება სამუშაოს ჩატარების თარიღი, სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო, სამუშაოს ჩატარების სახე და წარმომადგენელთა ვინაობა.

13. **დამატებითი სიმძლავრეების,** მათ შორის თანალოკაციის ფართის გამოყოფა, განხორციელებულ იქნება იგივე პროცედურის დაცვით, რასაც ითვალისწინებს წინამდებარე მოწვევის ოფერტა, 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.
14. **ავარიული სარემონტო სამუშაოს დროს,** მსურველი ოპერატორი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციასთან" სამუშაოების ხასიათი, მისი დაწვრილებითი აღწერილობით და სამუშაოს შემსრულებელი პირების მითითებით. **ექსტრაორდინალური, ფორსმაჟორული, ავარიული და სარემონტოსამუშაოების დროს, "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციისთვის" მიყენებულიზარალის შემთხვევაში, ბრალეული მხარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თავისი ბრალის თანაზიარად აანაზღაურებს მიყენებულზიანს.**
15. **მოწვევის ოფერტა მოქმედებს 6 თვიანი ვადით.**
16. ფიქსირებულ საკომუტაციოელემენტებთან დაშვების და სატელეფონო ზარის დაწყება/დასრულების ოფერტა ძალაში შედის 2016 წლის 1 აგვისტოდან.

შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის"

გენერალური დირექტორი **ნ. შარაშენიძე**